# შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

**2019** წლის **31** დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

**შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემა**
**სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება**
**2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**
**თანხები მოცემულია ლარში**

**შინაარსი**


| | |
|---|---|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა | 1 |
| დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა | 2 |
| სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 5 |
| სპეციალური დანიშნულების სარგებლისთვის განკუთვნილ წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება | 6 |
| სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 7 |
| სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 8 |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ზოგადი ინფორმაცია | 9 |
| 2 | მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა | 9 |
| 3 | საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალი | 10 |
| 4 | საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება | 10 |
| 5 | მოთხოვნამდე არსებული საბანკო დეპოზიტები | 10 |
| 6 | სარგებლისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივები | 11 |
| 7 | შენატანები | 11 |
| 8 | საპროცენტო სარგებელი | 11 |
| 9 | გაცემული საპენსიო საზღაური | 11 |
| 10 | საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები | 12 |

ანგარიშგების ბოლო გვერდია: 12

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა**

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "საქაერონავიგაციის" (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

• სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
• ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
• დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
• სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

• შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
• აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
• მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
• თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი
ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი
საპენსიო დაზღვევისა და
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა**

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "საქაერონავიგაციის" (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი
ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი
საპენსიო დაზღვევისა და
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

## დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
## შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემა

### *მოსაზრება*

ჩავატარეთ შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სარგებლისთვის განკუთვნილ წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგებას, სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა და სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი მომზადების საფუძვლების და სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

### *მომზადების საფუძველი*

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ''აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე'' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

### *მნიშვნელოვანი გარემოებები - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი*

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც განმარტებულია, რომ წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული საპენსიო სქემის (რომელიც წარმოადგენს შპს "საქაერონავიგაცია"-ს, როგორც დამფუძნებლისა და სქემაში ჩართული მისი თანამშრომლების ურთიერთობათა სისტემას) ვირტუალური ფინანსური პოზიციის, შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე ფულადი ნაკადების წარდგენის მიზნით. ამგვარად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოყენება, შესაბამისი კანონმდებლობისა და შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესში გაუთვითცნობიერებელი პირებისთვის შესაძლოა გამოუსადეგარი იყოს. ამ გარემოების გამო ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

### *სხვა გარემოებები*

შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანასური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 16 მაისს გასცა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

*დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)*

*მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე*

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა,

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

*დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)*

*აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)*

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**მიხეილ აზაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

*ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544*
*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011*

თარიღი: 15 მაისი, 2020
თბილისი, საქართველო

*დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)*

*აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)*

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

*ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544*
*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011*

თარიღი: 15 მაისი, 2020
თბილისი, საქართველო

## სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|---|---|---|---|
| **კაპიტალი** | | | |
| საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალი | 3 | 3,001,392 | 3,014,014 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 265,225 | 387,379 |
| **სულ კაპიტალი** | | **3,266,617** | **3,401,393** |
| **ვალდებულებები** | | | |
| საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება | 4 | 9,604,594 | 5,571,333 |
| **სულ ვალდებულებები** | | **9,604,594** | **5,571,333** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **12,871,211** | **8,972,726** |
| **აქტივები** | | | |
| მოთხოვნამდე არსებული საბანკო დეპოზიტები | 5 | 3,266,617 | 3,401,393 |
| სარგებლისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივები | 6 | 9,604,594 | 5,571,333 |
| **სულ აქტივები** | | **12,871,211** | **8,972,726** |

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი
ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი
საპენსიო დაზღვევისა და
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

## სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|---|---|---|---|
| **კაპიტალი** | | | |
| საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალი | 3 | 3,001,392 | 3,014,014 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 265,225 | 387,379 |
| **სულ კაპიტალი** | | **3,266,617** | **3,401,393** |
| **ვალდებულებები** | | | |
| საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება | 4 | 9,604,594 | 5,571,333 |
| **სულ ვალდებულებები** | | **9,604,594** | **5,571,333** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **12,871,211** | **8,972,726** |
| **აქტივები** | | | |
| მოთხოვნამდე არსებული საბანკო დეპოზიტები | 5 | 3,266,617 | 3,401,393 |
| სარგებლისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივები | 6 | 9,604,594 | 5,571,333 |
| **სულ აქტივები** | | **12,871,211** | **8,972,726** |

გოჩა მეზვრიშვილი

გენერალური დირექტორი

შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი

ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი

საპენსიო დაზღვევისა და
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

## სპეციალური დანიშნულების სარგებლისთვის განკუთვნილ წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **წმინდა აქტივები 1 იანვარს** | | **5,571,333** | **2,328,188** |
| **შენატანები** | | | |
| დამქირავებლისგან მიღებული შენატანები | 7 | 2,311,334 | 1,937,152 |
| დასაქმებულთაგან მიღებული შენატანები | 7 | 898,853 | 753,337 |
| ***სულ მიღებული შენატანები*** | | ***3,210,187*** | ***2,690,489*** |
| დამქირავებლისგან მისაღები შენატანები | 7 | 223,188 | 185,291 |
| დასაქმებულთაგან მისაღები შენატანები | | 86,795 | 72,057 |
| ***სულ მისაღები შენატანები*** | | ***309,983*** | ***257,348*** |
| **სულ შენატანები** | | **3,520,170** | **2,947,837** |
| საპროცენტო სარგებელი | 8 | 737,408 | 384,773 |
| ***ჯამური ზრდა*** | | ***4,257,578*** | ***3,332,610*** |
| ადმინისტრაციული ხარჯები | | (66,378) | (26,030) |
| გაცემული საპენსიო საზღაური | 9 | (157,939) | (63,435) |
| ***ჯამური შემცირება*** | | ***(224,317)*** | ***(89,465)*** |
| **წმინდა აქტივები 31 დეკემბერს** | 6 | **9,604,594** | **5,571,333** |

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი
ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი
საპენსიო დაზღვევისა და
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

## სპეციალური დანიშნულების სარგებლისთვის განკუთვნილ წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **წმინდა აქტივები 1 იანვარს** | | **5,571,333** | **2,328,188** |
| **შენატანები** | | | |
| დამქირავებლისგან მიღებული შენატანები | 7 | 2,311,334 | 1,937,152 |
| დასაქმებულთაგან მიღებული შენატანები | 7 | 898,853 | 753,337 |
| ***სულ მიღებული შენატანები*** | | ***3,210,187*** | ***2,690,489*** |
| დამქირავებლისგან მისაღები შენატანები | 7 | 223,188 | 185,291 |
| დასაქმებულთაგან მისაღები შენატანები | | 86,795 | 72,057 |
| ***სულ მისაღები შენატანები*** | | ***309,983*** | ***257,348*** |
| **სულ შენატანები** | | **3,520,170** | **2,947,837** |
| საპროცენტო სარგებელი | 8 | 737,408 | 384,773 |
| ***ჯამური ზრდა*** | | ***4,257,578*** | ***3,332,610*** |
| ადმინისტრაციული ხარჯები | | (66,378) | (26,030) |
| გაცემული საპენსიო საზღაური | 9 | (157,939) | (63,435) |
| ***ჯამური შემცირება*** | | ***(224,317)*** | ***(89,465)*** |
| **წმინდა აქტივები 31 დეკემბერს** | 6 | **9,604,594** | **5,571,333** |

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი
ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი
საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

## სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | შევსებული კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,014,014** | **478,606** | **3,492,620** |
| წმინდა სარგებელი | - | 358,773 | **358,773** |
| არა-შეზღუდული სარგებლის გატანა | - | (450,000) | **(450,000)** |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,014,014** | **387,379** | **3,401,393** |
| წმინდა სარგებელი | - | 265,225 | **265,225** |
| არა-შეზღუდული სარგებლის გატანა | (12,622) | (387,379) | **(400,001)** |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,001,392** | **265,225** | **3,266,617** |

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი
ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი
საპენსიო დაზღვევისა და
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

## სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | შევსებული კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,014,014** | **478,606** | **3,492,620** |
| წმინდა სარგებელი | - | 358,773 | **358,773** |
| არა-შეზღუდული სარგებლის გატანა | - | (450,000) | **(450,000)** |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,014,014** | **387,379** | **3,401,393** |
| წმინდა სარგებელი | - | 265,225 | **265,225** |
| არა-შეზღუდული სარგებლის გატანა | (12,622) | (387,379) | **(400,001)** |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **3,001,392** | **265,225** | **3,266,617** |

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი
ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი
საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

## სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **მიღებული ფული** | | | |
| შენატანები | | **3,467,535** | **2,920,099** |
| დამსაქმებლის შენატანები | | *2,496,625* | *2,102,471* |
| მონაწილეთა შენატანები | | *970,910* | *817,628* |
| საპროცენტო სარგებელი | | 265,225 | 358,773 |
| სხვა შემოსულობები | | 155,987 | 62,159 |
| **სულ მიღებული ფული** | | **3,888,747** | **3,341,031** |
| **გაცემული ფული** | | | |
| ფასიანი ქაღალდების შეძენა | | (432,053) | - |
| მოკლევადიან მოთხოვნამდე დეპოზიტებზე განთავსება | | - | (218,708) |
| გრძელვადიან დეპოზიტებზე განთავსება | | (3,032,934) | (2,700,114) |
| გაცემული საპენსიო უზრუნველყოფა | | (157,939) | (63,436) |
| ფონდის უზრუნველყოფის ანგარიშიდან ნამეტი პროცენტის გატანა | | (400,597) | (450,000) |
| **სულ გაცემული ფული** | | **(4,023,523)** | **(3,432,258)** |
| **ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)** | | **(134,776)** | **(91,227)** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | | 3,401,393 | 3,492,620 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **5** | **3,266,617** | **3,401,393** |

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი
ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი
საპენსიო დაზღვევისა და
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

## სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **მიღებული ფული** | | | |
| შენატანები | | **3,467,535** | **2,920,099** |
| დამსაქმებლის შენატანები | | *2,496,625* | *2,102,471* |
| მონაწილეთა შენატანები | | *970,910* | *817,628* |
| საპროცენტო სარგებელი | | 265,225 | 358,773 |
| სხვა შემოსულობები | | 155,987 | 62,159 |
| **სულ მიღებული ფული** | | **3,888,747** | **3,341,031** |
| **გაცემული ფული** | | | |
| ფასიანი ქაღალდების შეძენა | | (432,053) | - |
| მოკლევადიან მოთხოვნამდე დეპოზიტებზე განთავსება | | - | (218,708) |
| გრძელვადიან დეპოზიტებზე განთავსება | | (3,032,934) | (2,700,114) |
| გაცემული საპენსიო უზრუნველყოფა | | (157,939) | (63,436) |
| ფონდის უზრუნველყოფის ანგარიშიდან ნამეტი პროცენტის გატანა | | (400,597) | (450,000) |
| **სულ გაცემული ფული** | | **(4,023,523)** | **(3,432,258)** |
| **ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)** | | **(134,776)** | **(91,227)** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | | 3,401,393 | 3,492,620 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **5** | **3,266,617** | **3,401,393** |

გოჩა მეზვრიშვილი

გენერალური დირექტორი

შპს "საქაერონავიგაცია"

ირაკლი ზაქარეიშვილი

ფინანსური მენეჯერი

თამარ ოდიაშვილი

საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 15 მაისი, 2020

## 1 ზოგადი ინფორმაცია

შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემა დაარსდა 2015 წლის 30 დეკემბერს შპს "საქაერონავიგაციის" თანამშრომლების არასახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის მიზნით. სქემა დადგენილშენატანიანია.

შპს "საქაერონავიგაციის", როგორც არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის და შპს "საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო სქემის რეგისტრაცია განხორციელდა სსიპ "საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" უფროსის 2015 წლის 30 დეკემბრის N7/1 ბრძანების საფუძველზე. საპენსიო სქემა იმართება შპს "საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესის შესაბამისად. საპენსიო სქემა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, საკანონმდებლო და საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე.

შპს "საქაერონავიგაციის" არასახელმწიფო საპენსიო სქემა წარმოადგენს დამსაქმებლის პროფესიულ სქემას, სადაც განსაზღვრულია შენატანების ოდენობა და დამფუძნებლის ვალდებულება, შექმნას მონაწილეთა სახელობითი საპენსიო დანაგროვი და მის ხარჯზე რეგულარულად გასცეს პენსიები სქემის წესისა და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საპენსიო სქემის მონაწილეების სოციალური შენატანები შეიძლება დავყოთ დამსაქმებლის მხრიდან და დასაქმებულის მხრიდან განხორციელებულ სოციალურ შენატანებად. შენატანების განაკვეთი დამსაქმებლისათვის შეადგენს დასაქმებულის ძირითადი ხელფასის 18%-ს, ხოლო დასაქმებულის მხრიდან 7%-ს.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის საპენსიო სქემაში მონაწილეობს შპს "საქაერონავიგაციის" 578 თანამშრომელი (2018: 536).

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

### 2.1 მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებისა და დარიცხვის მეთოდით, საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის 26-ე სტანდარტის - ,,საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება" გამოყენებით.

ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარდგენილი საანგარიშგებო

### 2.2 წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

### 2.3 აქტივები და ვალდებულებები

წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით.

## 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.4 დაფინანსება

სქემის დაფინანსება ხორციელდება დამქირავებლისა და მონაწილეების დადგენილი პერიოდული შენატანების გადაცემით საპენსიო სქემის მმართველისთვის, მათი ფასიან ქაღალდებში, წილობრივ ინსტრუმენტებსა ან/და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში დაბანდებისათვის და სარგებლის გამომუშავებისათვის.

### 2.5 შემოსავალი

შემოსავალი წარმოადგენს (აქტივების მმართველის მიერ) განთავსებული ინვესტიციების მიერ გამომუშავებულ სარგებელს.

## 3 საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალი

მოქმედი კანონმდებლობით, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს მოეთხოვება საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალის შექმნა და შენახვა (სქემის არსებობის განმავლობაში) სულ მცირე 2,000,000 ლარის ოდენობით. შპს "საქაერონავიგაციამ" საპენსიო ფონდის კაპიტალად განსაზღვრა 3,000,000 ლარი, რომელიც 2015 წლის 17 სექტემბერს განათავსა ბანკში განცალკევებულ ანგარიშზე (შემდგომში "სპეციალური ანგარიში"). საპენსიო ფონდის შევსებულ კაპიტალს დაემატა 2016 წლის 1 იანვრამდე სპეციალურ ანგარიშზე არსებულ ნაშთზე (3,000,000 ლარი) დარიცხული პროცენტი (14,014 ლარი). 2019 წლის განმავლობაში შევსებული კაპიტალიდან შპს "საქაერონავიგაციის" მიერ გატანილ იქნა 12,622 ლარი.

## 4 საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება

| | 31-დეკ-2019 | 31-დეკ-2018 |
|---|---|---|
| *საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება 1 იანვრისთვის* | **5,571,333** | **2,328,188** |
| სოციალური შენატანები | 3,520,170 | 2,947,837 |
| საპროცენტო სარგებელი | 737,408 | 384,773 |
| გაცემული საპენსიო საზღაური | (157,939) | (63,435) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | (66,378) | (26,030) |
| **საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება 31 დეკემბრისთვის** | **9,604,594** | **5,571,333** |

## 5 მოთხოვნამდე არსებული საბანკო დეპოზიტები

| | 31-დეკ-2019 | 31-დეკ-2018 |
|---|---|---|
| საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე | 3,266,617 | 3,401,393 |
| **სულ მოთხოვნამდე არსებული საბანკო დეპოზიტები** | **3,266,617** | **3,401,393** |

| 6 | სარგებლისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივები | 31-დეკ-2019 | 31-დეკ-2018 |
|---|---|---|---|
| | **ფასიანი ქაღალდები** | **712,188** | **112,911** |
| | *საქართველოს მთავრობის ობლიგაციები (9.375%_18.01.2028)* | 395,244 | - |
| | *სს ევექსის ჰოსპიტლების ობლიგაციები (RR+3.1%_06.11.2024)* | 203,496 | - |
| | *საქართველოს მთავრობის ობლიგაციები (14.375%_16.07.2020)* | 62,356 | 61,797 |
| | *საქართველოს მთავრობის ობლიგაციები (9.375%_16.08.2027)* | 51,092 | 51,114 |
| | **მოკლევადიანი დეპოზიტები** | **2,960,230** | **2,378,874** |
| | *ფული მიმდინარე ანგარიშზე* | 1,083,415 | 539,442 |
| | *12-თვემდე პერიოდში განაღდებადი დეპოზიტები* | 1,876,815 | 1,839,432 |
| | **გრძელვადიანი დეპოზიტები** | **5,622,193** | **2,840,547** |
| | *გრძელვადიანი დეპოზიტები* | 5,622,193 | 2,840,547 |
| | **მისაღები თანხები** | **309,983** | **257,348** |
| | *დამსაქმებლის შენატანები* | 223,188 | 185,291 |
| | *მონაწილეთა შენატანები* | 86,795 | 72,057 |
| | **გასაცემი თანხები** | **-** | **(18,347)** |
| | *საინვესტიციო მოგების გასამრჯელო* | - | (18,347) |
| | ***სულ სარგებლისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივები*** | **9,604,594** | **5,571,333** |

## 7 შენატანები

შპს "საქაერონავიგაციის" საპენსიო სქემა არის დადგენილშენატანიანი და განსაზღვრულია საბაზისო შრომის ანაზღაურების 18 და 7 პროცენტით შპს საქაერონავიგაციისა და თანამშრომლებისათვის, შესაბამისად.

საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელება დაიწყო 2017 წელს. 2019 წლის განმავლობაში დამსაქმებლისგან მიღებულმა შენატანებმა შეადგინა 2,311,334 ლარი (2018: 1,937,152), ხოლო თანამშრომლების შენატანებმა 898,853 ლარი (2018: 753,337). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამსაქმებლის შენატანის დარიცხული ვალდებულებაა 223,188 ლარი (2018: 185,291).

## 8 საპროცენტო სარგებელი

საპროცენტო სარგებელი გულისხმობს ფონდის საინვესტიციო აქტივებზე დარიცხულ სარგებელს.

## 9 გაცემული საპენსიო საზღაური

საპენსიო დანაგროვის გაცემა სქემაში ჩართულ თანამშრომლებზე ხდება შემდეგ შემთხვევებში: (1) თანამშრომელმა მიაღწია საპენსიო ასაკს და მისი მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა პენსია; (2) მონაწილე დატოვებს შპს "საქაერონავიგაციას" საპენსიო ასაკის მიღწევამდე, მის სახელობით საპენსიო ანგარიშზე დაგროვილ საპენსიო დანაზოგს მიიღებს შეუმცირებლად; (3) მონაწილის გარდაცვალების შეთხვევაში დანაგროვი პენსია ეძლევა მის მემკვიდრეებს იმავე პირობებით, რა პირობებითაც მიიღებდა მონაწილე. 2019 წლის განმავლობაში მონაწილეებზე გაცემულია 157,939 ლარის ოდენობით საპენსიო დანაგროვი (2018 წელი: 63,435 ლარი).

## 10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადება კორონავირუსის („COVID-19") გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანზიაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. თუმცა, სქემის შინაარსიდან გამომდინარე მენეჯმენტი COVID-19-თან დაკავშირებული რისკებს მინიმუმზე აფასებს.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

********